



საგარეო ურთიერთობების სამსახური

საქართველო, ქალაქი ბათუმი, სულიკო ქლენტის ქოჩა, №6, ს.კ. 445601126/ infoislandbatumi@ainnassadeti.com

№ 56
22/11/2023წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ქ. ბათუმში ოდისეი დიმიტრიადის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში დაგეგმილი ხელოვნური კუნძულის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ დაგეგმილი საქმიანობის პროექტზე, „ქ. ბათუმში, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აგვისტოს N416/ს ბრძანებით გაცემულია სკოპინგის დასკვნა N19.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;
- შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“-ს ხელოვნური კუნძულის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არა ტექნიკური რეზიუმე - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (უახლოესი საცხოვრებელი ზონებიდან დაცილების მანძილების მითითებით) - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- კუნძულის მშენებლობის ფაზაზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - ორი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- კუნძულის მშენებლობის ფაზაზე ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი - ორი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული
სააგენტო
24. 11. 2023წ.
№ 31924

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ“-ის რეგისტრაციის თაობაზე;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და პროექტის განხორციელების ტერიტორიების გეოგრაფიული კოორდინატები GIS-ის სისტემაში CD დისკზე.

პატივისცემით,

ირინა ფაილოძე

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ“-ის დირექტორი

